პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 186 (3670)

21 სექტემბერი 1968 წ. შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## თასი — „დინამოს"

თბილისის ტრეკზე სამდღიანი ასპარეზობის შემდეგ დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება ველოსპორტში. როგორც მოსალოდნელი იყო I ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა „დინამოს" კოლექტივმა.

საყვედურს იმსახურებს „შრომითი რეზერვები", რომელმაც აღნიშნულ შეჯიბრებაში არასრული გუნდი გამოიყვანა, „სპარტაკი" კი მხოლოდ ჭაბუკი ველოსიპედისტებით ასპარეზობდა. გათამაშებაში მონაწილეობას თავი აარიდეს „განთიადის" ველოსიპედისტებმაც. საინტერესოა, ბოლოსდაბოლოს როდის გამოიყვანს ეს სპორტსაზოგადოება გუნდს ტრეკზე?

ვაჟთა სპრინტი მოიგო დინამოელმა რ. კუპრეიშვილმა. ჭაბუკთა შორის ამ სახეობაში უძლიერესი იყო ბურევესტნიკელი დ. ნოზაძე, ხოლო ქალებში — დინამოელი ლ. კუნდიროვა.

გამოდევნებით რბოლა 4 კილომეტრზე ვაჟებში მოიგო ვ. მალევანიკმა („დინამო"), ქალთა ასპარეზობა ამავე სახეობაში დინამოელი ლ. გრიგორის გამარჯვებით აღინიშნა. გიტში 1000 მეტრზე უძლიერესი იყო ბურევესტნიკელი კ. პოპოვი.

ვ. გენგიური.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ჯგუფური რბოლის მონაწილენი ტრასაზე.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

## აღიმართა საბჭოთა ალამი

მეხიკო, 20 სექტემბერი: დღეს ოლიმპიურ სოფელში კიდევ ერთი სახელმწიფოს — სსრ კავშირის ალამი აღიმართა. საზეიმო ცერემონიალს დაესწრნენ ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები, თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები. დილით საწვრთნელ ბაზაზე გამოჩნდნენ საბჭოთა მძლეოსნები. ჯერ იყო და ვ. გავრილოვმა გადალახა 215 სმ სიმაღლე, შემდეგ მსოფლიო რეკორდსმენმა ი. ლუსისმა მოხსნა ტოკიოს ოლიმპიადის რეკორდი, როცა შუბი გაგზავნა 85 მეტრსა და 71 სანტიმეტრზე.

ოლიმპიურ სოფელში გაიხსნა საცნობარო პუნქტი, სადაც მწვრთნელებს, სპორტსმენებს შეუძლიათ მიიღონ ყოველგვარი ცნობა, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ოლიმპიურ თამაშებთან.

ოლიმპიელების ოჯახს ახალი წევრები შეემატნენ მონღოლი სპორტსმენების სახით. დამღლელი მგზავრობის მიუხედავად, მონღოლმა ოლიმპიელებმა სოფლის სპორტულ ბაზებს მიაშურეს.

ბევრი სტუმარი ჰყავთ საბჭოთა ოლიმპიელებს. საქმე იმაშია, რომ იმ შენობაში, სადაც ჩვენები ცხოვრობენ, მოეწყო კლუბი. აქ ყოველდღიურად უჩვენებენ საბჭოთა კომედიურ ფილმებს. კლუბს ხელმძღვანელობს მძლეოსანი ა. ზოლოტარიოვი, რომელიც ერთ დროს კინომექანიკოსად მუშაობდა. საბჭოთა ოლიმპიელების სტუმრებმა ბევრი იცინეს, როცა ნახეს კინოსურათები: „არკადი რაიკინი", „იური ნიკულინი" და „მომეცით საჩივრის წიგნი".

საბჭოთა სპორტსმენები განაგრძობენ მეხიკოსთან გაცნობას. ამ დღეებში ისინი იყვნენ „ჩაპულტეპეკის" პარკში, დაათვალიერეს ზოოპარკი, დაესწრნენ „კორიდოს", რომელშიც გამოდიოდნენ ცნობილი მატადორები.

## სპასკი მიზანს მიუახლოვდა

კიევი, 20 სექტემბერი. კორჩნოის გამარჯვებამ VI პარტიაში მკვეთრად დაძაბა ბრძოლა ბ. სპასკი — ვ. კორჩნოის ფინალურ მატჩში. VII პარტიაზე, რომელიც გუშინ შედგა ოქტომბრის კულტურის სახლში, ტევა არ იყო.

სპასკიმ, პირველად ამ მატჩში, ლასკერის პაიკის წინსვლით დაიწყო თამაში. კორჩნოის შესაძლებლობა მიეცა თავისი საყვარელი გრიუნფელდის დაცვა გაეთამაშა, მაგრამ ძველინდური დაცვა არჩია. სპასკისთვის ეს მოულოდნელი იყო, რაკი ლენინგრადელ დიდოსტატს ადრე არასოდეს გამოუყენებია დაცვის ეს რთული სისტემა.

ის იყო სპასკიმ დაამთავრა ფიგურების მობილიზება, რომ მე-15 სვლაზე კორჩნოი სერიოზულად შეცდა. აი, სად იჩინა თავი ძველინდური დაცვის ნიუანსებში ლენინგრადელი მოჭადრაკის ჩაუხედაობამ. სპასკიმ დაუყოვნებლივ გაარღვია ცენტრი და მტკიცედ დაეუფლა ინიციატივას. მალე პაიკიც მოიგო.

უკვე მძიმე მდგომარეობაში, კორჩნოი კვლავ შეცდა. სპასკიმ გონებამახვილურად შეწირა ლაზიერი და შეუტია მეტოქის გვირგვინოსანს. 35-ე სვლაზე კორჩნოიმ საათი გააჩერა დანებების ნიშნად.

ამრიგად, მატჩის მეორე ნახევრის სტარტი სპასკის ახალი წარმატებით აღინიშნა. ახლა ორთაბრიოლის ანგარიშია 4,5:2,5-ზე მის სასარგებლოდ. მსოფლიო ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან მატჩის თამაშის უფლების მოსაპოვებლად სპასკის მხოლოდ 2 ქულა სჭირდება დარჩენილ 5 პარტიაში.

VIII პარტია დღეს შედგება.

## მეექვსე პარტია

ვ. კორჩნოი — ბ. სპასკი

ლაზიერის გამბიტი

**1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 კe7 4. cd ed 5. კf4 c6 6. ლc2 g6 7. 0—0—0.**

კორჩნოი აგრესიულადაა განწყობილი. სტრატეგიის თვალსაზრისით მისი მოუმზადებელი იერიში გაუმართლებელია.

**7. ... მf6 8. f3 მa6 9. e4 მb4 10. ლb3 კe6.**

კრიტიკული პოზიციაა, რომელიც შემდგომი თამაშის რეალურ გეგმას ითხოვს. ამიტომაც სპასკიმ აქ 38 წუთი იფიქრა.

მოსკოველმა დიდოსტატმა განჭვრიტა, რომ კომბინაციით მას თავად შეუძლია თეთრი მეფის დალაშქვრა. ეს კორჩნოის მცდარი სტრატეგიის წინაპირობაა. ჭადრაკში ულოგიკობა მუდამ ისჯება.

**11. e5 მd7 12. a3 a5 13. ab ab 14. მb1 c5!**

კორჩნოი შეტევაზე ფიქრობდა, დაცვა კი მოუწია. მხედრის აულებლობა უფრო სახიფათო იყო. სპასკის ლაშქარს მიჰყავს თავისი არმია მეტოქის მეფის დასარბევად.

**15. g4.**

უაზრობა იქნებოდა c5 პაიკის აყვანა: იხსნებოდა ხაზები და მეფეც საბოლოოდ დაკარგავდა მოსვენებას.

**15. ... c4 16. ლe3 ეa2 17. h4 ლa5 18. ეh2 ეa1 19. კd3.**

ეს უკვე იძულებითია. ფიგურის უკან დაბრუნებით კორჩნოის სურს მეფე ხიფათს გადაარჩინოს. სპასკი არ ჩქარობს მატერიალური თანაფარდობის აღდგენას. იგი კიდევ უფრო ავიწროებს თეთრი მეფის პოზიციას.

**19. ... b3 20. მc2**

ბ. სპასკი



ვ. კორჩნოი

სპასკის უკვე მოსაგები პოზიცია აქვს, მაგრამ იგი სცდება სწორ გზას.

**20. ... კb4**

აქ სწორი იყო 20. ... cd 21. ლ:d3 h5 22. ეg1 (აყვანა h5-ზე არ შეიძლება 22. ... კf5-ის გამო) 22. ... მb6 23. ლ:b3 მa4 24. კd2 ლc7+ 25. მc3 0—0 უძლიერესი იერიშით.

როგორც ჩანს, სპასკის ვარიანტების გაანგარიშებისას რაღაც გამორჩა.

**21. h5 0—0 22. hg fg 23. ეdh1 cd 24. ლ:d3 ლc7+ 25. მc3 მb6?**

უხეში შეცდომა. აუცილებელი იყო 25. ... კ:c3 26. bc ე:f4 27. ლ:g6+ მფf8 და არ ჩანს როგორ გააძლიერონ თეთრებმა იერიში. 27. ე:h7-ზეც უძლიერესია 27. ... მფf8.

**26. ლ:g6+!**

სპასკის გამორჩა ეს ელემენტარული კომბინაცია. ბრძოლა წაგებულია. რისი იმედიღა უნდა ჰქონდეთ შავებს!

**26. ... hg 27. ეh8+ მფf7 28. ე1h7+ მფe8 29. ე:f8+ მფ:f8 30. ე:c7 მc4 31. ე:b7 კ:c3 32. bc b2+ 33. მფc2 მფe8 34. კg5 ეa6 35. მd2 კc8 36. ეe7+ მფf8 37. მ:c4 dc 38. მფ:b2 ეb6+ 39. მფc2 კb7 40. ე:b7 ე:b7 41. f4.**

აქ პარტია გადაიდო. კორჩნოიმ დამაჯერებლად გაითამაშა ენდშპილი. მისი პაიკების გაჩერება შეუძლებელია. ამიტომ ყველა მოელოდა სპასკის დანებებას თამაშის გაუგრძელებლად. მაგრამ სპასკიმ კიდევ ერთი სვლა გააკეთა.

**41. ... ეh7 42. მფb2.**

სპასკი დანებდა. ეს იყო კორჩნოის პირველი გამარჯვება მატჩში.

•

ამას წინათ მოსკოვში ხიმკის წყალსაცავზე გაიმართა სსრ კავშირის პირველობა ექვსმოსასმელიანი საზღვაო იალებით. ტურნირში მონაწილეობდნენ შავი, ბალტიის, კასპიის ზღვებისა და სხვა ფლოტილიების საუკეთესო სპორტსმენები. ორდღიანი ასპარეზობის შედეგად ყველას შავი ზღვის ფლოტილიის პირველმა გუნდმა (მესაჭე — ნ. ვეჩირკო) აჯობა და ჩემპიონობაც დაისაკუთრა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების ერთი მომენტი.
ფოტო ნ. შიპუნოვისა.

•



# დიდი თარიღისადმი მიძღვნილი

ახლოვდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი, რომელსაც მთელი მოწინავე კაცობრიობა დიდი ზეიმით აღნიშნავს. ვალში არც საბჭოთა სპორტსმენები იქნებიან.

იმ ღონისძიებებს შორის, ამ დიდ თარიღს რომ ეძღვნება, ერთ-ერთი არის პროფკავშირთა IX საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადა, რომელიც სპორტსმენთა მრავალმილიონიანი არმიის დიდი დათვალიერება იქნება. ამ სპარტაკიადის მასშტაბი ჭეშმარიტად გრანდიოზულია. ამ დიდი ღონისძიების ნიშნით ჩატარდება შეჯიბრებები ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და მშენებლობებზე, დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

გუშინწინ, მოსკოვში, საკავშირო პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიმართა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. ელისეევი. განიხილეს რსფსრ-ს პროფკავშირულ-საორგანიზაციებში სპარტაკიადისთვის მზადების საკითხი. ამავე დროს, სწორეთ ესაუბრა რსფსრ IV საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადის მთავარი მსაჯის მოადგილე ა. გოლიანიცკი. შეჯიბრებები გაიმართება 6 ზონაში: შორეული აღმოსავლეთი, ციმბირი, ურალი, ვოლგისპირეთი, ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთი რუსეთი.

საორგანიზაციო კომიტეტმა მოიხმინა აგრეთვე, იმ ქალაქების წარმომადგენელთა გამოსვლები, სადაც ზონების ფინალური შეჯიბრებები გაიმართება.

# მუშაობა ახალ პირობებში

**როგორც ცნობილია, ერთ წელზე მეტი დრო გავიდა, რაც ზუგდიდი ქალაქად გადაკეთდა. ამას წინათ „ლელოს“ კორესპონდენტი ო. ნინოშვილი შეხვდა ქალაქის სპორტკავშირის თავმჯდომარეს ჯ. ბაფრინდაშვილს და ესაუბრა მას.**

მას შემდეგ, რაც ზუგდიდი ცალკე ქალაქად გადაკეთდა, მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში ახალი ამოცანები წამოიჭრა. ეს ამოცანები კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით. მაგრამ სირთულეს არ შევუშინებივართ. ფიზკულტურის ყველა მუშაკი დაირაზმა ახალ პირობებში მუშაობისთვის. რა თქმა უნდა, ხელს გვიწყობდნენ ქალაქის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ახლა ზუგდიდში სპორტის 18 სახეობაა დანერგილი. 16 ათასი ახალგაზრდა 90 ფიზკულტურულ კოლექტივშია გაერთიანებული. მათ ბავშვთა და ახალგაზრდობის სპორტული სკოლები, „განთიადის“, „სპარტაკის“ საზოგადოებები, 60-მდე ფიზღზრდის მასწავლებელი, მწვრთნელი, ინსტრუქტორი და მეთოდისტი ემსახურებათ.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ სპორტულ ბაზებს. უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ქალაქის სტადიონი, სადაც „ენგურის“ ფეხბურთელები ატარებენ მატჩებს სსრ კავშირის პირველობაზე. ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად, სტადიონს კომპლექსურ ბაზად ვაქცევთ. აქ აიგება საცურაო აუზი სახტომი კოშკურებით. უკვე მოვაწყვეთ კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები. მთავრდება სარბენი ბილიკების მოწყობა, ტრიბუნების კაპიტალური შეკეთება და სხვ.

სპორტული დარბაზები გვაქვს ბავშვთა სპორტულ სკოლასა და ინგურჰაღალდკომბინატში. ამ საწარმოს აქვს საკუთარი სტადიონიც 3 ათასი მაყურებლისთვის, საცურაო აუზი. საერთოდ, ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში 100-მდე ფეხბურთის მინდორი, კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედანია.

ყოველივე ამას თუ დაეუმატებთ, რომ წლეულს მწყობრში ჩადგება კაშხალმშენის სამძართველოს სტადიონი 5 ათასი მაყურებლისთვის და საცურაო აუზი, შეიძლება ითქვას, ბაზების მხრივ საქმე ცუდად არა გვაქვს.

ახლა ჩვენი ყურადღება კომპლექსური სპორტული ბაზების მშენებლობისკენაა მიმართული.

ბაზებზე მუდამ ხალხმრავლობაა. დიდი გამოხმაურება ჰპოვა საიუბილეო სპარტაკიადამ. 4.500 ფიზკულტურელი სპორტის 15 სახეობაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ცხადია, წარმატება ხვდა მას, ვინც სისტემატურად და მუყაითად ვარჯიშობს დაოსტატებისთვის. ამიტომაც არაერის გაკვირვებია 1-ლი, მე-3 და მე-4 საშუალო სკოლების, ენგურჰესისა და ინგურჰაღალდკომბინატის სპორტსმენთა გამარჯვება.

საინტერესო იყო სპორტსაზოგადოებათა და ბავშვთა სპორტული სკოლის ნაკრები გუნდების შეჯიბრებაც. პროგრამაში 15 სახეობა შედიოდა. ყველას სპორტსკოლამ აჯობა და თასიც დაისაკუთრა.

სწორედ ამ შეჯიბრებებში ვლინდებიან ნიჭიერი სპორტსმენები, რომლებიც შემდეგ რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე გვასახელებენ ხოლმე. მაგალითად, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში თავი გამოიჩინეს ზუგდიდელმა ველოსიპედისტებმა ლ. შონიამ, მ. ქობალიამ, ტანმოვარჯიშე ა. ჩქოტუამ და ფეხბურთელმა ნ. კიტაამ, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციის წევრები იყვნენ. ნორჩი ტანმოვარჯიშე ნ. გარდავა სსრ კავშირის ნაკრებშია შეყვანილი. მან ეს დაიმსახურა იუნიორთა ჩემპიონატში ვერცხლის მედლის მოპოვებით. ცალკეულ სახეობებში გარდავამ ოქროს ორი და ერთი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ამ ერთი წლის მანძილზე ზუგდიდში მომზადდა 23 სპორტის ოსტატი, ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 3254 მეორე, მესამე და მოზარდთა თანრიგის სპორტსმენი. რა თქმა უნდა, ეს დამსახურებაა ჩვენი მწვრთნელებისა, სახელდობრ, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ვ. ხაბეიშვილისა (ტანვარჯიში), ღ. შონიასი (ველოსპორტი), ტ. ჩარბაძისა (ჭიდაობა), ქ. ფიფიასი (ძალოსნობა) და სხვ.

ამ ბოლო დროს მეტ ყურადღებას ვაქცევთ სპორტის პროპაგანდას, თუმცა, რა დასამალია, აქამდე ძალიან ცოტას ვზრუნავდით ამ საკითხზე. საჭიროა, „ცოდნის“ რესპუბლიკურმა საბჭომაც რომ შეგვიწყოს ხელი ლექციების ჩატარებაში, გამოგზავნოს გამოჩენილი სპორტსმენები და სპეციალისტები.

სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ კიდევ სუსტად ინერგება ფრენბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, შაში, ტყვიის სროლა, თუმცა ბაზები და ინვენტარი გვაქვს. ის, რომ კრივმა, ჩოგბურთმა, ფარიკაობამ, თანამედროვე ხუთჭიდმა და ცურვამ ფეხი ვერ მოიკიდა, სპორტული ბაზების უქონლობით აიხსნება. არა გვაქვს სპორტული დარბაზი (ამ ხუთწლედში დაგეგმილია დარბაზის მშენებლობა ათასი მაყურებლისთვის), საცურაო აუზი და საჭიდაო ოთახები.

გვიფერხებს ისიც, რომ წარმოება-დაწესებულებების უმრავლესობას დღემდე არ ჰყავს ხელფასზე მომუშავე ფიზკულტურული მუშაკი. ამიტომ ინგურჰაღალდკომბინატი და ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოში დღემდე ვერ გაიხსნა ბავშვთა და ახალგაზრდობის სპორტული სკოლები.

დაბალია კროსების, გადარბენების და ტურისტული ლაშქრობების დონეც.

ერთი სიტყვით, როგორც ხედავთ, წარმატებებთან ერთად გვაქვს ნაკლოვანებები, რომელთა დაძლევა მთელი ფიზკულტურული აქტივის ზრუნვასა და დაუღალავ მუშაობას მოითხოვს.

არ გვეეჭვება, ზუგდიდის სპორტულ ცხოვრებას კიდევ უკეთ წარვმართავთ, მეტ წვლილს შევიტანთ რესპუბლიკის სპორტსმენთა წარმატებებში. ესაა ჩვენი მთავარი ამოცანა მუშაობის ახალ პირობებში.



# ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲩᲘᲠᲐᲚᲓᲜᲘᲗ

ВЛКСМ 50

სუმგაითელმა ახალგაზრდებმა კომკავშირის 50 წლის იუბილესა და ბაქოს 26 კომისრის ხსოვნას მიუძღვნეს მეგობრობის მოტოგადარბენი, რომლის მარშრუტი იყო სუმგაითი—რუსთავი—კიროვაკანი.

რუსთაველმა პიონერებმა, კომკავშირულმა აქტივმა, ომისა და შრომის ვეტერანებმა, გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სპორტსმენებს. სუმგაითელებმა დათვალიერეს ქალაქი, მეტალურგიული ქარხანა და მეორე დღეს გეზი კიროვაკანისკენ აიღეს.

**სურათებზე:** მარცხნივ — **მოტოგადარბენის მონაწილენი რუსთავის ლენინის სახელობის მოედანზე;** მარჯვნივ — **გადარბენის მონაწილეს ვ. კიჩიბეკოვს, რომელსაც მეგობრობის ჩირაღდანი მოჰქონდა, უკავიელებს უძღვნიან რუსთაველი პიონერები.**

ფოტო და ტექსტი **რ. გაბრიელიძისა.**

# თასი მფლობელს ელოდება

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი მოუთმენლად ელოდა ხაიდვეიში საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალის II ტურის დაწყებას. მსაჯთა მაგიდასთან ფუსფუსმა იმატა, შეჯიბრების მოთავენი სტადიონის ცენტრალური შემოსასვლელისკენ იცქირებოდნენ, ვიღაცას ელოდნენ, ის ვიღაცა კი არა და არ ჩანდა. მოუთმენლობამ ჯერ სპორტსმენებში იჩინა თავი, მერე ყველაზე წყნარ გულშემატკივრებსაც გადაეედო.

დრო კი მიდიოდა. ტურნირის დაწყების ვადას გადაცილდა 10 წუთი, 20 და... როგორც იყო ასპარეზობის დაგვიანების მიზეზიც გამოჩნდა — სტადიონზე „თავქუდმოგლეჯილი“ შემოიჭრა სასწრაფო დახმარების მანქანა.

ხაიდვეი მამაცთა სპორტია. ამ სახეობაში ისეთი ვარჯიშობს, ვისაც არც დიდი სისწრაფის ეშინია, არც მოულოდნელობისა. ასეა თუ ისე, მოტოციკლეტებს ადამიანები მართავენ და გაუთვალისწინებელი შემთხვევისას შეიძლება სამედიცინო დახმარება დაჭირდეთ. მსაჯთა კოლეგია სწორად მოიქცა, როცა ასპარეზობა მედპერსონალის მოსვლამდე არ დაიწყო. მაგრამ გვაოცებს დაუდევრობა შეჯიბრების მომსახურე ექიმებისა, რომელთაც საკავშირო ტურნირის ინტერესებე, ათობით სპორტსმენის, ასობით მაყურებლის ლოდინი არად ჩააგდეს და სამსახურში თოქმის ნახევარი საათის დაგვიანებით გამოცხადდნენ.

მართალია, ამ დღეს მათ მნიშვნელოვანი სამუშაო არ ჰქონიათ, მაგრამ წინ დღით ხომ აუცილებელი გახდა ექიმის ჩარევა, როცა ერთ-ერთი მონაწილე ვირაუზე უხეიროდ დაეცა.

ტურნირის სამედიცინო მომსახურე პერსონალის ამ მოქმედებაზე ყურადღება იმიტომ უფრო გავამახვილეთ, რომ დღეს და ხვალ აქვე თასის გათამაშების ფინალია. მასში ჩვენი ქვეყნის 4 საუკეთესო გუნდი გამოვა. ისინი დაკომპლექტებულია პირველი კლასის სპორტსმენებით, ამიტომაც უშედავათო იქნება თასისთვის ბრძოლა.

ახლა ნახევარფინალის II ტურის შედეგებზე. როგორც ვიტყობინებოდით, „თბილისმა“ წინ დღით მეტოქენი პირდაპირ გაანადგურა. მეორე დღეს, ხუთი ცდის შემდეგ, როცა თბილისელებმა კიდევ 15 ქულა მოიპოვეს და ყველასთვის მიუწვდომელნი გახდნენ, „ლოკომოტივის“, „ტაიფუნისა“ და „სელმაშისთვის“ ნათელი შეიქნა, რომ ახლა მათ ფინალის ერთადერთი ნაგზურისთვისღა უნდა ებრძოლათ. ამ დროისთვის დაუგავპილსის „ლოკომოტივს“ ორი დღის ჯამში 24 ქულა ჰქონდა, ლვოვის „სელმაშს“ — 20, ელისტის „ტაიფუნს“ — 18.

თბილისელებმა პირველი მარცხი იწვნიეს მე-6 ცდაზე. პირველთანრიგოსანი პ. ზელენსკი თავიდანვე დაწინაურდა, მაგრამ ბოლო წრეზე სპორტის ოსტატმა ი. სტუპაკოვმა („ლოკომოტივი“) გაასწრო და თავის კოლექტივს 8 ქულა შემატა. ზელენსკი მეორე იყო. შემდეგ ზელენსკის ბედი მისმა თანაგუნდელმა ოსტატობის კანდიდატმა ვ. ბუვაევმა გაიზიარა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ I წრეზე მესამე მიდიოდა, შემდეგ ოსტატ ვ. ვოლსკის („ლოკომოტივი“) კი გაასწრო, მაგრამ ოსტატ ლ. დრობიაზკოს („სელმაში“) ვეღარაფერი მოუხერხა. მათ არც ოსტატი ხ. ლიომინიდი ჩამორჩა — ოსტატ ი. პერკერთან („ლოკომოტივი“) დამარცხდა.

# დღეს და ხვალ ფინალია

საინტერესო ფაქტი მოხდა მე-14 ცდაზე. სტარტზე მოეწყვნენ ლიომინიდი, მ. სტუპაკოვი („ლოკომოტივი“), დრობიაზკო და ვ. მერკულოვი („ტაიფუნი“), თბილისელს მოტოციკლეტმა ულალატა და ჩამორჩა, მაგრამ მესამე წრეზე კვალში ჩაუჯდა დრობიაზკოს, ვირაუზე გაქცევაც სცადა, ვერ მოზომა: წონასწორობა დაკარგა, მანქანა ულალუზე შედგა და გადაბრუნდა. ლიომინიდიმ „0“ მიიღო.

ამ დღის ბრალია ვ. კლემენტიევი გახლდათ, თბილისელთა ლიდერს არც ერთი რბოლა არ წაუგია, ყველაზე მეტი ქულა მოიპოვა და როგორც ადრე, ახლაც საუკეთესო დრო აჩვენა, ერთ-ერთ ცდაზე 1600 მეტრი 1.17,8-ში გაიარა.

როცა მსაჯებმა 2 დღის შედეგები დათვალეს, „თბილისს“ 88 ქულა აღმოაჩნდა, დაუგავპილსის „ლოკომოტივს“ — 44, ლვოვის „სელმაშს“ — 36, ელისტის „ტაიფუნს“ — 23 ქულა. ამრიგად, ფინალში „თბილისი“ და „ლოკომოტივი“ გავიდნენ.

ამრიგად, დღეს და ხვალ ფინალია. თბილისის ნახევარფინალში გამარჯვებულთა გარდა, თასისთვის იბრძოლებენ უფის „ბაშკირია“ და ბალაკოვოს „კორდი“. სპეციალისტების აზრით, ყველაზე ძლიერია „ბაშკირია“, რომლის შემადგენლობაში მაყურებელი ნახავს მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ი. პლეხანოვს, სსრ კავშირის პირველობის ვერცხლის პრიზიორს, სპორტის ოსტატ გ. კურილენკოსა და სხვებს, მაგრამ თუ თბილისის გუნდის წევრები ტიტულებს არ შეუშინდებიან, გაბედულად, ტაქტიკურად სწორად იბრძოლებენ, მთავანაც ბევრ სიურპრიზს უნდა ველოდეთ. ერთი სიტყვით, საინტერესო, ამაღელვებელი ბრძოლების მოწმენი ვიქნებით.

**ნ. გიგოლაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ოლიმპიელები

## ბედნიერ სტარტს გისურვებთ, ვიქტორ!

საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს აკოფ კერსელიანს თავისი კანონები აქვს: არ უყვარს ხარმაცები, სხვების მიერ აღმოჩენილი ნიჭიერი სპორტსმენების გადაბირებით ფონს გასვლას რომ ცდილობენ. იგი ფიზკულტურული კოლექტივების ხშირი სტუმარია, სკოლებში, საწარმოებში, ხშირად ...ებში მოასპარეზე ბავშვებიდან ...ევს აღსაზრდელებს, კოჭებში ატყობს, ვისგან რა გამოვა. ალღოს არასოდეს უღალატნია. „სპორტის დედოფლის" თავდავიწყებული თაყვანისმცემელი თავის მოსწავლეებსაც მძლეოსნობის სიყვარულს უნერგავს: მათგან ჩემპიონების აღზრდა მერე უფრო ადვილია. ბავშვებისთვისაც იგი უფრო მეტია, ვიდრე უბრალო მწვრთნელი — აღსაზრდელთა ჭირისა და ლხინის გამზიარებელს შეუძლია ყველასთან გამონახოს საერთო ენა.

ერთხელ, აფხაზეთის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მისი ყურადღება მიიპყრო ტანხმელმა ჭაბუკმა.

უთხრეს: სოფელ განთიადის სკოლა-ინტერნატის მოსწავლე ვიქტორ სანეევია. როცა სპორტსმენს გაესაუბრა, მიხვდა, რომ ჭაბუკს მძლეოსნობაზე ლაპარაკიც არ სურდა.

1962 წელი იდგა. სანეევმა საშუალო სკოლა დაამთავრა და უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვს მიაშურა — ენერგეტიკის ინსტიტუტში სწავლა სურდა. მისაღები გამოცდები ჩააბარა, მაგრამ კონკურსში ვერ გაიმარჯვა. უქმად ყოფნას შრომა და მომავალი სასწავლო წლისთვის სამზადისი არჩია. მექანიკურ-სამსხმელო ქარხანაში მხერხავად დაიწყო მუშაობა, თანაც კალათბურთში ვარჯიშობდა. ამ სახეობაში საკმარისი ნიჭი აღმოაჩნდა, აფხაზეთის ნაკრებში ჩაირიცხა.

ერთხელ „შემთხვევით" შეხვდნენ ძველი ნაცნობები — კერსელიანი და სანეევი. მწვრთნელმა გაანდო საიდუმლო: შენგან უფრო კარგი მძლეოსანი დადგებაო, მაგრამ სანეევსაც არ დაუფარავს კალათბურთის სიყვარული, ისე კი, ხათრისთვის დაპირდა: ხვალ სტადიონზე მოვალ და თვითონ დარწმუნდები, რომ ჩემში მძლეოსნური ნიჭის არავითარი ნიშანწყალი არ არისო.

ეს უკვე მწვრთნელის გამარჯვება იყო. პირველმა ვარჯიშმა სანეევი კერსელიანის მოწაფედ აქცია, 1968 წელს კი დიდი გამარჯვებაც იზეიმეს...

... საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა მიმდინარეობდა. მაშინ სანეევმა სამგზის გამარჯვება მოიპოვა, იგი პირველი გახლდათ სამხტომში, სიგრძეზე ხტომასა და 100 მეტრზე რბენაში.

ეს იყო დასაწყისი სპორტის დიდი გზისა, რომელიც 4 წლის სიგრძის აღმოჩნდა. სოხუმის სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის სტუდენტმა ევროპის იუნიორთა I თამაშებში სიგრძეზე ხტომასა და სამხტომში სცადა ძალები და ორივეჯერ II ადგილებს დასჯერდა. მაშინ მან სიგრძეზე პოლონელ ი. კობუშევსკისთან წააგო 6 სმ (აჩვენა 7,42), სამხტომში კი თანაგუნდელ ა. ბორზენკოს მხოლოდ 1 სმ-ით (15,71) ჩამორჩა.

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადამდე ერთი წლით ადრე სანეევმა ფეხი დაიზიანა და სარბიელიდან გაქრა. ექიმებმა მძლეოსნობაში ვარჯიში აუკრძალეს და მანაც „შეწყვიტა" ხტომები, სინამდვილეში ჩუმად, ზოგჯერ ღამეც მარტოდმარტო ვარჯიშობდა, რაც მწვრთნელს შეუმჩნეველი არ დარჩენია, მაშინ ჯიუტი მოწაფე კერსელიანმა თავით ფეხებამდე შეაიარაღა და აფხაზეთის მთებში სანადიროდ გაიყოლია.

სპარტაკიადა ახლოვდებოდა.

1967 წლის მარტი. სანეევი პირველად გადახტა 16 მეტრს იქით და სამხტომში ლ. დარახველიძის რესპუბლიკური რეკორდი (16,02 მ) გააუმჯობესა, მაისში კი ბაქოში სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 790 სმ და რ. ქვაჩაკიძის რესპუბლიკური რეკორდი მოხსნა, ხოლო სამხტომში რეკორდი 16,40-მდე აიყვანა. სოხუმელი ჭაბუკის შედეგები ამ დღიდან სტაბილური გახდა.

მოსკოვი. ხალხთა სპარტაკიადა. სანეევი საქართველოს გუნდის ინტერესებისთვის სამხტომსა და სიგრძეზე ხტომაში გამოდიოდა. სამხტომში მხოლოდ IV შედეგი ჰქონდა. სამაგიეროდ, სიგრძეზე ხტომაში ბევრი ფავორიტი ჩამოიტოვა და ვერცხლის მედლით დაიმშვენა მკერდი. პირველობა „დაუთმო" ი. ტერ-ოვანესიანს. და მაინც, სპარტაკიადის შემდეგ სანეევმა მტკიცედ გადაწყვიტა საბოლოოდ ხელი სამხტომისთვის მოეკიდა — ამ სახეობაში მომზადებული იყო სათანადოდ.

როცა ჰკითხეს: რატომ მაინცდამაინც სამხტომი ირჩიე, თვითონ ტერ-ოვანესიანი ხომ თავის ყველაზე საშიშ მეტოქედ და მომავალ მსოფლიო რეკორდსმენად გთვლისო, — ვიქტორმა უპასუხა:

— რა დაგიმალოთ, ორივე სახეობა მიყვარს, მაგრამ მეხიკოს სტარტებამდე გამიძნელდება ბოსტონის, ტერ-ოვანესიანის და ბიმონის დონემდე ავიმაღლო კლასი, სამხტომში კი უფრო მეტ შანსს ვხედავო.

... და მართლაც, კიევში ევროპის თასის გათამაშებაში, როცა სანეევს მოულოდნელად შესთავაზეს სტარტის წინ შეეცვალა ავადმყოფი თანაგუნდელი, არც შემკრთალა, ყველა ფავორიტი დაამარცხა. შემდეგ მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულში ისახელა თავი, გაზაფხულზე მადრიდში ევროპის ზამთრის ჩემპიონატში კი II ადგილი დაიკავა.

— ვინ მიგაჩნიათ სამხტომში ოლიმპიური მედლების პრეტენდენტებად, როგორია თქვენი შანსი მეხიკოში?

— პირველ რიგში პოლონელი ი. შმიდტი, მაგრამ ჯაბანი არც ა. ზოლოტარიოვი და ნ. დუდკინია. რაც შეეხება ჩემს შანსს, სისწრაფე არ მყოფნის, ახლა მისი სრულყოფისთვის ვმუშაობ. შევძლებ თუ არა ამ ხარვეზის დაძლევას, ამას ოლიმპიადა გიჩვენებთ.

სულ სხვას ფიქრობენ მისი მწვრთნელები კერსელიანი და ჩვენი ოლიმპიელი სამხტომელების მეურვე ვ. კრეერი. მათ სჯერათ, რომ სანეევი მეხიკოდან ხელცარიელი არ დაბრუნდება, მაგრამ იმაზე, თუ რომელი მედლით დაიმშვენებს მკერდს, ორივე დუმს.

ვიქტორმა წელს დაამთავრა ინსტიტუტი. აღმზრდელმა კოლექტივმა ციტრუსოვანი კულტურებისა და მეჩაიე აგრონომის დიპლომი მისცა და ცხოვრების გზა დაულოცა. მეხიკოში სანეევს სპორტში ყველაზე ძნელი გამოცდა ელის და გვჯერა, რომ თავს არც იქ შეირცხვენს.

ბედნიერ სტარტს გისურვებთ, ვიქტორ!

ო. იგდოშვილი.

• • •

სურათზე: სანეევი (მარცხნივ) და კერსელიანი.




## ფავორიტები



აშშ-ს ოლიმპიურ ნაკრებში ლი ევანსი (სურათზე) ერთადერთი ზანგი სპორტსმენი როდია. მაგრამ მძლეოსნობაში მისი ყველაზე დიდი იმედი აქვთ, ვინაიდან 400 მეტრზე ისე სწრაფად არავის ურბენია, როგორც ევანსმა ოლიმპიელთა ბოლო შესარჩევ შეჯიბრებაში ირბინა. მსოფლიოს რეკორდსმენ ვ. მეტიუსთან, ლ. ჯეიმსთან და რ. ფრიმენთან ბრძოლაში, მან დისტანცია ზუსტად 44 წამში გაირბინა, რაც მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდზე 0,5 წამით უკეთესია. მართალია, ევანსს ჯეიმსი სულ რაღაც 0,1 წამით ჩამორჩა, მაგრამ მეხიკოს ოლიმპიური ოქროს მედლის მთავარ ფავორიტად მაინც ევანსს მიიჩნევენ.

## მეხიკოს ცნობები

აკაპულკო, 19 სექტემბერი. ამ საკურორტო ქალაქში ჩატარდება მეიალქნეთა ასპარეზობა. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრების ადგილი ზღვის დონეზე მდებარეობს, აქ თამაშების გახსნამდე კარგა ხნით ადრე ჩამოვიდნენ ოლიმპიადის მონაწილენი. სარბიელის პირველი სტუმრები იყვნენ გდრ-ის, გფრ-ის, დანიის, ფინეთის, შვეიცარიის, ჰოლანდიისა და ნორვეგიის წარმომადგენლები.

კარაჩი, 19 სექტემბერი. პაკისტანი მეხიკოს თამაშებზე სპორტსმენებს გამოიყვანს ჭიდაობასა და ბალახის ჰოკეიში. ბოლო სახეობაში ამ ქვეყნის გუნდი ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონია. მეხიკოში სულ ჩავა 23 ათლეტი.

მეხიკო, 19 სექტემბერი. რაც დრო გადის, მით უფრო ხალხმრავალი ხდება ოლიმპიური სოფელი. აქ უკვე 1500 კაცი ცხოვრობს. ოლიმპიურ სოფელს ეწვია სსრ კავშირის ნაკრების მეორე ჯგუფი, ჩამოვიდნენ სპორტსმენები ბულგარეთიდან, არგენტინიდან, გფრ-დან, ჩილიდან, გვატემალიდან და იუგოსლავიიდან. საკმაოდ გაფართოვდა პრესის კორპუსი. აქ დაიდო ბინა 150-მდე ჟურნალისტმა.

ბუენოს-აირესი, 19 სექტემბერი. არგენტინა მეხიკოს თამაშებზე წარმოდგენილი იქნება 100 სპორტსმენით. აქ იქნებიან მოცურავეები, მოკრივეები, ბალახის ჰოკეის ოსტატები, ნიჩბოსნები, მძლეოსნები, ველოსიპედისტები, მოფარიკავეები, მსროლელები, ძალოსნები, საიალქნო სპორტის წარმომადგენლები.

ბრიუსელი, 19 სექტემბერი. მეხიკოში გამგზავრების წინ, აქაურმა ბიბლიოთეკარმა, 130-კილოგრამიანმა გიგანტმა ს. რედინგმა ერთბაშად გააუმჯობესა ბელგიის ოთხი რეკორდი მძიმე წონის ძალოსანთათვის. სამჭიდის ჯამში მისი შედეგია 545. მან აჰიმა 192, აიტაცა 145,5 და აკრა 207,5 კგ.

## სამაგიდო წიგნი

ამ დღეებში XIX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა: „ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ოლიმპიელთა სპეციალური სამაგიდო წიგნის გამოშვება იყო. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ეს საქმე შევასრულეთ".

რა წიგნზეა ლაპარაკი? ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გამოუშვა წიგნი ოლიმპიადების შესახებ. მასში ლაპარაკია თამაშების ისტორიაზე, ჩამოთვლილია სპორტის ყველა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობა, მოყვანილია მსოფლიო რეკორდების ცხრილი და ა. შ.

წიგნის ტირაჟია 40 ათასი. იგი განკუთვნილია იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებიც ეწვევიან ოლიმპიურ თამაშებს, მაგრამ როგორც გამოირკვა, მექსიკელებმა შეისყიდეს ამ გამოცემის თითქმის მთელი ტირაჟი. საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე დაისვა საკითხი წიგნის ხელახალი გამოცემის თაობაზე.

# გეიმი ოლიმპიურ სოფელში

გუშინწინ, ოლიმპიური სოფლის მთავარ მოედანზე, რომელიც მშვიდობის მოედანდაა წოდებული, თამაშების ბევრი მონაწილე მოვიდა. აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ოლიმპიური სოფელი, რომელიც მექსიკის 1810 წლის რევოლუციის გმირის მიგელ იდალგოს სახელს ატარებს. მექსიკის პრეზიდენტმა დიას ორდასმა საფარი მოხსნა მონუმენტს, რომელზეც გამოსახულია მიგელ იდალგო.

პრეზიდენტმა ერთი საათი დაჰყო ოლიმპიურ სოფელში, ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებთან ერთად დაათვალიერა სპორტული მოედნები, სავაჭრო ცენტრი, ინტერნაციონალური კლუბი, სასადილო. იგი ქალთა კორპუსშიც კი შეუშვეს. საქმე იმაშია, რომ ტრადიციის მიხედვით ოლიმპიელ ქალთა კორპუსში მამაკაცებს საერთოდ არ აჭაჭანებენ. დიას ორდასს ამ საქმეში ალბათ პრეზიდენტობამ უშველა.

ოლიმპიური სოფელი აგებულია (არქიტექტორი მ. ვიხილი) უძველესი ქალაქის გუოგუილკის ადგილას. ეს იყო მშვენიერი ქალაქი საინტერესო არქიტექტურული ნაგებობებით, მაგრამ იგი ვულკანიდან ამოხეთქილმა ლავამ წალეკა.

ოლიმპიადის დედაქალაქში სსრ კავშირის გუნდის წევრთა უმეტესობა უკვე გაემგზავრა — გზას გაუდგნენ მოცურავეები, მძლეოსნები, მოჭიდავეები, ხუთჭიდელები, ცხენოსნები. შერემეტიევოს აეროდრომზე განსაკუთრებით გაძნელდა თვითმფრინავში ცხენების „ჩაბარგება“. მეხიკოში წაიყვანეს 12 საუკეთესო ცხენი, რომლებზედაც ხაბჭოთა სპორტსმენები იასპარეზებენ.

სურათზე: მეხიკოს მიმავალი მგზავრები შერემეტიევოს აეროდრომზე.

ფოტო ვ. პანოვისა.

# ეჭვის ქვეშ

საუტ-ლეიკ-ტახო ის ქალაქია, რომლის მახლობლად ეწო სუმითის მთის სტადიონზე გაიმართა ამერიკის მძლეოსანთა ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატთა ბოლო შეჯიბრება. ტურნირის თითქმის ყველა შედეგებზე ვიტყობინებოდით და იმასაც ვწერდით, რომ 200 მეტრზე რბენაში ჯ. კარლოსმა 19,7 წამი აჩვენა, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია. როგორც იუპ-ის საააგენტო იუწყება, კარლოსს უსასპარეზნია არა იაიფ-ის მიერ საერთოდ აღიარებული ფეხსაცმელებით, რომლებსაც, როგორც წესი, 6-6 ქაცი უნდა ჰქონდეს, არამედ უჩვეულო სპორტული ფეხსაცმელებით, რომელთა ძირებზე განლაგებულია 60-მდე ასეთი ქაცვი. ამიტომ კარლოსის მაჩვენებლის მსოფლიო რეკორდად დამტკიცების საკითხი ეჭვის ქვეშაა და მას სპეციალურად განიხილავს იაიფ-ის მორიგი კონგრესი.

რაც შეეხება ტურნირის საბოლოო შედეგებს, ამერიკის გუნდის ხელმძღვანელობამ მეხიკოში წასვლის საგზურები მისცა ასპარეზობის ყველა სახეობაში საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებს.

სსრ კავშირის პირველობა

# დამაჯერებელი გამარჯვება

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი, 19 სექტემბერი.

„დინამო“ (ბათუმი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 2:0 (2:0).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“: კვახაძე, ჩხაიძე, ქორიძე, სირბილაძე, გიორგიადი, აპრესიანი, ხაბიბულინი (ახვლედიანი), კვიტაიშვილი, ილურიძე, ვერულიძე, გაგუა.

„ᲤᲝᲚᲐᲓᲘ“: დარვინი, ბაგიროვი, შჩერბინი, ჭალილოვი, დიმჩენკო, მანაშეროვი, ფედორცევი, ამიროვი, დობროტინი, ელისეევი, ველიხანოვი.

მსაჯი ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები: 1:0 ბათუმელთა სასარგებლოდ.

მატჩის ბედი ფაქტიურად პირველ ტაიმში გადაწყდა. მასპინძლების უპირატესობა თავიდანვე სავრძნობი იყო. მე-3 წუთზე აპრესიანმა კარგად გაიყვანა გარღვევაზე კვიტაიშვილი. ამ უკანასკნელმა ოსტატურად აუარა გვერდი ორ მცველს და დაახლოებით 20 მეტრის მანძილიდან უძლიერესი დარტყმით ბურთი „ფოლადის“ კარში გაგზავნა — 1:0. ამის შემდეგ დინამოელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი. 34-ე წუთზე მასპინძლებმა გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია: ხაბიბულინმა ზუსტად ჩააწოდა აპრესიანს, შემდეგ ბურთი მიიღო ილურიძემ და „ფოლადმა“ კვლავ ცენტრიდან დაიწყო თამაში.

შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდა. რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაუშვეს ხელიდან როგორც სტუმრებმა, ისე მასპინძლებმა. ამ დღეს მოედანზე საუკეთესო იყო ბათუმელთა გარემარბი კვიტაიშვილი, რომელიც ენერგიულად მოქმედებდა ორთავე ფლანგზე.

Მ. ᲛᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔ
(ჩვენი კორ.).

* * *

გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა ლენინაკანში ადგილობრივ „შირაკთან“ თბილისის „ლოკომოტივმა“ ფრეს მიაღწია — 0:0. გორში „ეოლგისა“ და იეევსკის „ბეტის“ შეხვედრაც ასეთივე ანგარიშით დამთავრდა.

I „Ა“ ᲯᲒᲣᲤᲘ

# ᲑᲣᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის XXVIII ტურის ბოლო მატჩი გაიმართა 19 სექტემბერს ერევანში. ადგილობრივმა „არარატმა“ მიიღო დონეცკის „შახტიორი“. მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით 2:0 (0:0). ორივე ბურთი გაიტანა კაზარიანმა.

„არარატმა“ 28 თამაშის შემდეგ დააგროვა 21 ქულა (ბურთების სხვაობა 26—38) და სატურნირო ცხრილში XVI ადგილზე გადაინაცვლა. „შახტიორს“ ამდენივე თამაშის შემდეგ 26 ქულა აქვს. იგი XI ადგილზე იმყოფება.

I „Ა“ ᲯᲒᲣᲤᲘ

მოგვყავს 17 სექტემბერს გამართული „ბ“ კლასის III და IV ზონების გუნდების იმ შეხვედრათა შედეგები, რომლებიც არ გამოგვიქვეყნებია.

### III ზონა

„არაქსი“ (ნახიჭევანი) — „სპარტაკი“ (ორიოლი) 2:1, „დაშკინი“ (ზაქათალა) — „სპარტაკი“ (ბელგოროდი) 0:0, „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) — „შრ. რეზერვები“ (კურსკი) 1:1, „ტრუდი“ (ენგელსი) — „უროჟაი“ (ალექსანდროვსკაია) 5:2.

### IV ზონა

„ლერნაგორცი“ (კაფანი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:1, „სევანი“ (ოქტემბერიანი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 5:2, „ირისთონი“ (მოზდოკი) — „უროჟაი“ (გროზნო) 3:1.

## ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

III ᲖᲝᲜᲐ — მდგომარეობა 21 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ᲣᲠᲝᲜᲐᲘ“ (მაიკოპი) | 33 | 21 | 5 | 7 | 52—19 | 47 |
| „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (ბელგოროდი) | 32 | 18 | 9 | 5 | 57—18 | 45 |
| „ᲨᲠ. ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ“ (კურსკი) | 32 | 18 | 8 | 6 | 40—32 | 44 |
| „ᲮᲘᲛᲘᲙᲘ“ (ბალაკოვო) | 33 | 15 | 13 | 5 | 35—16 | 43 |
| „ᲓᲘᲚᲐ“ (გორი) | 31 | 16 | 9 | 6 | 52—21 | 41 |
| „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ (რუსთავი) | 32 | 15 | 7 | 10 | 32—21 | 37 |
| „ᲢᲝᲠᲙᲘᲓᲝ“ (არმავირი) | 31 | 12 | 10 | 9 | 31—28 | 34 |
| „ᲢᲠᲣᲓᲘ“ (ენგელსი) | 30 | 12 | 9 | 9 | 38—25 | 33 |
| „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (ორიოლი) | 32 | 11 | 11 | 10 | 36—30 | 33 |
| „ᲨᲠᲝᲜᲐᲘ“ (სლავიანსკი) | 32 | 12 | 8 | 12 | 43—32 | 32 |
| „ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ“ (ვოლუსკი) | 32 | 10 | 10 | 12 | 30—28 | 30 |
| „ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲚᲨᲩᲘᲙᲘ“ (მინგეჩაური) | 32 | 10 | 10 | 12 | 26—37 | 30 |
| „ᲐᲚᲐᲜᲘᲐ“ (გურჯაანი) | 31 | 11 | 7 | 13 | 33—35 | 29 |
| „ᲓᲐᲨᲙᲘᲜᲘ“ (ზაქათალა) | 31 | 10 | 9 | 12 | 26—42 | 29 |
| „ᲨᲠᲝᲜᲐᲘ“ (ლაბინსკი) | 32 | 8 | 13 | 11 | 16—40 | 29 |
| „ᲙᲝᲚᲝᲜᲘ“ (ალექსანდროვსკაია) | 31 | 10 | 7 | 14 | 29—36 | 27 |
| „ᲨᲠᲝᲜᲐᲘ“ (სვეტლოგრადი) | 33 | 7 | 12 | 14 | 23—44 | 26 |
| „ᲮᲘᲛᲘᲙᲘ“ (ნევინომისკი) | 31 | 7 | 11 | 13 | 24—30 | 25 |
| „ᲨᲠᲝᲜᲐᲘ“ (ლენინგრადსკაია) | 31 | 6 | 11 | 14 | 20—36 | 23 |
| „ᲐᲠᲐᲖᲘ“ (ნახიჭევანი) | 32 | 5 | 8 | 19 | 22—55 | 18 |
| „ᲨᲐᲚᲐᲜᲘ“ (ელისტა) | 31 | 2 | 6 | 23 | 23—64 | 10 |

IV ᲖᲝᲜᲐ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ᲒᲣᲠᲘᲐ“ (ლანჩხუთი) | 32 | 18 | 6 | 8 | 53—32 | 42 |
| „ᲚᲝᲠᲘ“ (ცროვკანი) | 31 | 14 | 12 | 5 | 35—28 | 40 |
| „ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘ“ (ნოვოროსიისკი) | 31 | 14 | 11 | 6 | 37—19 | 39 |
| „ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ“ (მახარაძე) | 33 | 16 | 7 | 10 | 52—37 | 39 |
| „ᲡᲔᲕᲐᲜᲘ“ (ოქტემბერიანი) | 32 | 15 | 8 | 9 | 47—28 | 38 |
| „ᲛᲐᲨᲣᲙᲘ“ (პიატიგორსკი) | 31 | 15 | 7 | 9 | 41—25 | 37 |
| „ᲨᲣᲥᲣᲠᲐ“ (ქობულეთი) | 33 | 12 | 12 | 9 | 42—40 | 36 |
| „ᲐᲠᲐᲥᲡᲘ“ (ეჩმიაძინი) | 31 | 15 | 5 | 11 | 33—30 | 35 |
| „ᲨᲠᲝᲜᲐᲘ“ (დერბენტი) | 30 | 12 | 10 | 8 | 39—26 | 34 |
| „ᲨᲠᲝᲜᲐᲘ“ (კრიმსკი) | 31 | 11 | 11 | 9 | 38—32 | 33 |
| „ᲜᲐᲠᲖᲐᲜᲘ“ (კისლოვოდსკი) | 30 | 11 | 10 | 9 | 31—26 | 32 |
| „ᲘᲠᲘᲡᲗᲝᲜᲘ“ (მოზდოკი) | 33 | 12 | 8 | 13 | 36—33 | 32 |
| „ᲛᲐᲚᲐᲠᲘᲔᲚᲘ“ (ჭიათურა) | 32 | 11 | 9 | 12 | 33—33 | 31 |
| „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (სოხუმი) | 33 | 12 | 6 | 15 | 43—45 | 30 |
| „ᲔᲜᲔᲒᲣᲠᲘ“ (ზუგდიდი) | 33 | 9 | 12 | 12 | 27—34 | 30 |
| „ᲢᲠᲣᲓᲘ“ (კასპიისკი) | 30 | 11 | 6 | 13 | 30—37 | 28 |
| „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ“ (ფოთი) | 32 | 11 | 5 | 16 | 34—35 | 27 |
| „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (ცხინვალი) | 30 | 6 | 10 | 15 | 22—39 | 22 |
| „ᲨᲠᲝᲜᲐᲘ“ (გროზნო) | 31 | 6 | 9 | 16 | 32—49 | 21 |
| „ᲚᲔᲠᲜᲐᲒᲝᲠᲪᲘ“ (კაფანი) | 31 | 8 | 4 | 19 | 23—51 | 20 |
| „ᲙᲐᲮᲔᲗᲘ“ (თელავი) | 31 | 4 | 8 | 19 | 20—51 | 16 |

# თბილისელები ფინალში

**კოლტავა (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).** გრძელდება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ფეხბურთში. ასპარეზობაში წარმატებით მონაწილეობს საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც III ტურში შშრალი ანგარიშით — 3:0 დაამარცხა მოსკოვის ფეხბურთელები. IV ტურში თბილისელებმა ძლიეს უზბეკეთის გუნდს — 4:2 და ყირგიზეთთან ბოლო შეხვედრის შედეგის მიუხედავად ჯგუფში I ადგილი გაიანალდეს. თბილისელი ფეხბურთელები გავიდნენ ფინალში.

# ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ ᲥᲐᲜ-ᲞᲘᲔᲠ-ᲑᲣᲚᲐᲠᲘ

● ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 19 სექტემბერი. ფრანგი ჟან-პიერ-ბულარი, რომელმაც მოიგო „ტურ დე ლავერინის“ რბოლის მეექვსე ეტაპი, შეჯიბრების ლიდერი გახდა. ჩვენი სპორტსმენებიდან 6 ეტაპის შემდეგ კიშინიოველი ვ. პეტროვი მეთერთმეტეა.

# ᲥᲮᲐᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

# ᲥᲮᲐᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

● ᲠᲔᲜᲝ, 19 სექტემბერი. ამ ქალაქის უნივერსიტეტის სტადიონზე გამართულ ამერიკელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში შესანიშნავი მიღწევა მოიპოვა ბადროს მტყორცნელმა ჯ. სილვესტრომ. ერთ-ერთ ცდაზე მან 68 მ 40 სმ აჩვენა. ეს 1,86 მეტრით სჯობია მის მიერ წლეულს მოდესტოში დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲪᲮᲝᲠᲜᲔᲑᲖᲔ

**ᲨᲔᲡᲑᲐᲗᲝᲜᲘ.** „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის ბერძნულობა. „ა“ კლასის I ჯგუფი. „დინამო“ (თბილისი) — „ალმა-ათა“ (ალმა-ათა). 22 სექტემბერი. სათადარიგო შემადგენლობანი. დასაწყისი 17 სთ. 23 სექტემბერი. ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 სთ. 15 წ.

**ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ** (წიდიან ბილაბ). მოტორბოლა). „ლოკომოტივის“ სტადიონი. 21-22 სექტემბერი. სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალი. ჩემპიონატის დამთავრების დღეს შესასვლელ ბილეთებზე გათამაშდება ლატარია, რომლის მოგებებშია მოტოციკლეტები, მაცივრები, ტელევიზორები, რადიომიმღებები და სხვადასხვა ნივთები. შეჯიბრება დაიწყება 17 სთ.

**ᲨᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ.** ქალაქის სპორტკავშირის მოედნები (პლეხანოვის პრ. № 115) 21-25 სექტემბერი. თბილისის პირველობა სპორტული კლუბების გუნდებს შორის. დასაწყისი 17 სთ.

საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმი, ჰიდროობის რესპუბლიკური ფედერაციის თანაგრძნობას უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს

გ. კარტოზიას მამის
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ
ᲙᲐᲠᲢᲝᲖᲘᲐᲡ
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს სპორტის დამსახურებულ ოსტატს

კარტოზიას მამის
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ
ᲙᲐᲠᲢᲝᲖᲘᲐᲡ
გარდაცვალების გამო.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. УЭ 04227